სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

27 ნოემბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 206

2025 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნტის, მე-8 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტების, „2025 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მ/შ სამსახურებრივი ბარათის (N1686189; 27/11/2025) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2025 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის N1 შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2025 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის სათადარიგო პროექტები ამ ბრძანების დანართის N2 შესაბამისად, რომლებიც ჩაენაცვლება გამარჯვებულ პროექტებს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გამარჯვებულთან არ გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.
3. გამარჯვებული პროექტების წამყვანმა და თანამონაწილე ორგანიზაციებმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არაუგვიანეს 2025 წლის 8 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის კანცელარიაში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი დადასტურება იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციას არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

ბ) წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ პროექტის მიზნებისათვის გახსნილი სახაზინო /საბანკო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის შემთხვევაში პროექტის სახსრებისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიში და ცნობა გაცემული ბანკის მიერ იმის შესახებ, რომ წარმოდგენილ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) პარტნიორი ორგანიზაციის თანხმობის წერილის ორიგინალი;

დ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2025 წლის 30 დეკემბრისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

დანართი N1
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2025 წლის 27 ნოემბრის № 206 ბრძანებით

2025 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის შიფრი
1	AR-25-1264
2	AR-25-621
3	AR-25-2612
4	AR-25-720
5	AR-25-3639
6	AR-25-1757
7	AR-25-581
8	AR-25-1517
9	AR-25-1666
10	AR-25-511
11	AR-25-459
12	AR-25-1244
13	AR-25-218
14	AR-25-435
15	AR-25-1813
16	AR-25-476
17	AR-25-446
18	AR-25-2056
19	AR-25-1496
20	AR-25-1798
21	AR-25-1974
22	AR-25-2399
23	AR-25-1485
24	AR-25-691
25	AR-25-2690
26	AR-25-1583
27	AR-25-2773

დანართი N2

დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2025 წლის 27 ნოემბრის № 206- ბრძანებით

სათადარიგო პროექტები

N	ID პროექტის შიფრი
1	AR-25-1396
2	AR-25-1323